# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 3 23 0000369492

31/03/2023

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ**

**1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-$7^1$ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

## 2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 31 ოქტომბრის №16539/01-06-03 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1394834, 02/11/2022) დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის", "ძველი ენების და ცივილიზაციების", "შუა საუკუნეების ისტორიის", "ახალი და უახლესი ისტორიის", "არქეოლოგიის" სამაგისტრო და "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 22 ნოემბრის № 1491017 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 06 დეკემბრის № 1556207 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო, "საქართველოს ისტორიის", "ძველი ენების და ცივილიზაციების", "შუა საუკუნეების ისტორიის", "ახალი და უახლესი ისტორიის", "არქეოლოგიის" სამაგისტრო და "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით განახორციელა 2022 წლის 9, 12, 13 და 14 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | • | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | • | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინდივიდუალური მუშაობა | • | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | • | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | • | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 17 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, რის საფუძველზეც გარკვეული რეკომენდაციები იქნა ამოღებული. თუმცა შეცვალა 1,5 კომონენტის შეაფსება და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბასია მოთხოვნებთან, რის საფუძველზეპირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“

**3.სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**
1.დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებული "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 17 მარტი), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგების ვალდებულებით.

2.ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3.ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 31 მარტის № 369481 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4.დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი
**რეკომენდაცია:**

1. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახოს პროგრამის სწავლის შედეგები.
2. რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულ ECTS კრედიტებთან;
3. გაუმჯობესდეს სტუდენტის კმაყოფილების კვლევის სისტემა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სახით (მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით) თითოეული მოდულისთვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოდულის შეფასებას სტუდენტების მიერ საბოლოო ნიშნებისა და გამოცდების შედეგების გამოქვეყნებამდე.
4. რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ახალი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

**რჩევები:**

- პროგრამების სწავლის შედეგები, მკაფიოა, თუმცა ისინი მუდმივად ცხადად უნდა ჩანდეს სილაბუსებში (ამჟამად ისინი არის), სტუდენტთა სახელმძღვანელოებში და ვებგვერდზე სტუდენტთა სარგებლობისთვის. ტრანსფერულ შედეგებზე (უნარებზე) ყურადღების გამახვილება არსებითი მნიშვნელობისაა იმისათვის, რომ თითოეული პროგრამის ღირებულების შესახებ კომუნიკაცია მოხდეს სამინისტროსთან, პოტენციურ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან.
- ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ელექტრონული რიდერების შექმნა.
- კლასტერს სარგებელს მოუტანს სტაჟირების გარკვეული სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის მკაფიო შედეგები. ფაკულტეტის წარმომადგენელი თითოეულ პროგრამაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებას, პერიოდულად უნდა ახორციელებდეს ადგილზე ვიზიტს, რათა დარწმუნდეს რომ უნივერსიტეტის სასწავლო მიზნები სრულდება.
- ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დეპარტამენტს განიხილოს პროგრამის აქ წარმოდგენილი შეფასება და ასეთივე წარმატებით განაგრძოს მუშაობა. ასევე რეკომენდებულია სხვადასხვა პროგრამების განხილვა და განახლება იმ მიზნით, რომ პროგრამები მუდმივად აქტუალური იყოს; ასევე გააფაროვოს კურიკულუმები საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სფეროების დამატებით და ასევე, სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ დეპარტამენტმა განიხილოს მაგისტრანტების მიერ საბაკალავრო პროგრამებიდან არჩევითი საგნების აღების შესაძლებლობა, ბაკალავრიატის სტუდენტებისგან განსხვავებული შეფასებით (მათი სწავლების დონის ასახვის მიზნით). ქართულ ენაზე ონლაინ რიდერი შეიძლება იყოს წინგადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაზე განახლებული ბიბლიოგრაფიის ნაკლებობის დასაძლევად.
- ბაკალავრიატის შემდგომ საფეხურებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მისაღები მოთხოვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს, ინფორმაცია წარმოდგენელი იყოს ყველა შესაბამის ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამისთვის, დეპარტამენტმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა ამ პროცესის

ინტერნაციონალიზაციისა და ღიაობისთვის, რომ მიიღოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილებიდან.

- გაძლიერდეს არსებული საკომუნიკაციო არხები სტუდენტებსა და შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სერვისებს შორის.
- გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს მაგისტრანტებისთვის არსებული მხარდაჭრის სერვისების მექანიზმები, სამომავლოდ უცხოურ გაცვლით პროგრამებში მათი აქტიურად ჩართულობის მიზნით.
- ინტენსიური გახდეს საქმიანობა დარგზე-ორიენტირებული სტაჟირებების მიმართულებით, კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტებისთვის.
- განიხილოს დარგობრივი ტერმინოლოგიის კომპონენტების ჩართვა და გაძლიერება შესაბამის უცხო ენების კურსებში.
- ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია, პერიოდულად შეამოწმოს სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვა.
- სასურველის თანხების მოზიდვა სტუდენტებისა და პერსონალისთვის პროექტებისა და კვლევების განხორციელების მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 17 მარტიდან.
6. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2023 წლის 17 მარტი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

დანართი № 1

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ახალი და უახლესი ისტორია<br>Modern and Contemporary History |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლოპროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)სგადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | № 210, 18.07.2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაშისაგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ისტორიის მაგისტრი<br>MA in History |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურისსაგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი(ISCED – F – 2013) | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | ი. ჭავჭავაძის გამზ. №1; ი. ჭავჭავაძის გამზ. №36 და ი.ჭავჭავაძის გამზ. №13; თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთარიღი | 17/03/2023 |

| | | |
|---|---|---|
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული<br>რეკომენდაციების შესრულების<br>თაობაზე<br>ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის<br>განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | 2024 წლის 17 მარტი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2030 წლის 17 მარტი |